საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2018

პროექტი ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

ანგარიშის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
გოგა თუშურაშვილი
ნინო მერებაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi .ge

შინაარსი

შესავალი **3**

შეფასების მეთოდოლოგია **4**

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2018 წლებში **5**

2010-2018 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა 10

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2018 წელს **11**

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია 12

2018 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა 14

ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2018 16

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები 18

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2018 ..... **19**

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2018 19

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები 21

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით **25**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები 25

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები 30

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია 32

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები 33

სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციები 36

დასკვნა **37**

შესავალი

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) 2010 წლიდან ახდენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს საქართველოში. ამ მიმართულებით IDFI-ის მიერ განხორციელებულმა მრავალწლიანმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების განვითარებაში, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების დადგენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებაში, საქართველოში საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.

2011 წელს IDFI-მ დაიწყო მონიტორინგის ფარგლებში წარმოებულ სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე საჯარო დაწესებულებათა შესაბამისი სიგელებით დაჯილდოება. საჯარო დაწესებულებათა ყველაზე ღია თუ დახურულ უწყებად დასახელების მრავალწლიანი პრაქტიკა, ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და საჯარო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის წახალისებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შემთხვევებში, IDFI აქტიურად აწარმოებს დავებს შესაბამის უწყებათა წინააღმდეგ, რითიც ხელს უწყობს ინფორმაციის თავისუფლების ხარისხის ამაღლებას საქართველოში. მაგალითად, 2018 წელს IDFI-ს მიერ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებულ იქნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა უპასუხოდ დატოვების 8 შემთხვევა. მათგან მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა IDFI-ს საჩივარი და დავა გაგრძელდა სასამართლოში.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასება 2018 წლის მონაცემებით. ანგარიში ასევე, მოიცავს საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს 2010-2018 წლებში და საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგებს.

შეფასების მეთოდოლოგია

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებზე უწყებათა რეაგირებას IDFI შემდეგ კატეგორიებად ჰყოფს.

- **სრულყოფილი პასუხი** - განცხადების პასუხად მიღებულია ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნაზე ამომწურავ პასუხს;
- **არასრულყოფილი პასუხი** - განცხადების პასუხად მიღებულია გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მოთხოვნას;
- **უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე** - განცხადების პასუხად მიღებულია საჯარო დაწესებულების უარი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც ინტიტუტის შეხედულებით არ არის სამართლებრივად დასაბუთებული;
- **უპასუხო** - საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებულია უმოქმედობა, რაც გამოიხატა ინფორმაციის მოწოდებისგან თავის არიდებაში. აღნიშნული, სამართლებრივად გათანაბრებულია უართან, მაგრამ IDFI განცალკევებულად აწარმოებს მსგავსი შემთხვევების სტატისტიკას;
- **დაწესებულება არ ფლობს ინფორმაციას / არ განუხორციელებია კონკრეტული ქმედება** - განცხადების პასუხად მიღებულია საჯარო დაწესებულების განმარტება, რომლის თანახმადაც მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებაში არ ინახება, ინსტიტუტის მოთხოვნა გადამისამართდა სხვა დაწესებულებაში, ან უწყების მიერ არ განხორციელებულა შესაბამისი ქმედება.

საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგების შედგენისას გამოყენებულია შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების მიხედვით:

მიღებული ინფორმაციის შეფასების კოეფიციენტები	
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	**1**
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	**0,99**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	**0,5**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	**0,49**
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით	**0,6**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად, ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით	**0,3**
დაუსაბუთებელი უარი ინფორმაციის გაცემაზე	**0**
მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ	**0**

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2018 წლებში

2010 -2018 წლებში, IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 9 წლის დინამიკა, საჯარო დაწესებულებების ჯგუფების მიხედვით.

ამ პერიოდში, IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა **51,723** განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, რომელთაგან პასუხი მიღებულია **42,965** მოთხოვნაზე.

IDFI-ის მიერ 9 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. კერძოდ, 2010 წელს გაგზავნილი მოთხოვნების მხოლოდ 44%-ზე იქნა მიღებული პასუხი. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 76%-მდე გაიზარდა, ხოლო შემდგომ წელს გაცემული პასუხების მაჩვენებელი 68%-მდე შემცირდა.

2010-2018 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს იყო**. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 82%-მდე შემცირდა, 2015 წელს - 86%, 2016 წელს-85%, ხოლო 2017 წელს-88%. 2018 წელს მიღებული პასუხების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა და 2016 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა-85%.



წელი	საჯარო დაწესებულება	გაგზავნილი მოთხოვნები	მიღებული პასუხები
2018	282	6 413	5 454
2017	289	7 728	6 782
2016	294	7 430	6 291
2015	307	8 297	7 122
2014	308	7 878	6 481
2013	224	5 625	5 049
2012	229	5 072	3 449
2011	154	2 740	2 099
2010	21	540	238



2010-2018 წლებში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (79%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (12%) 2013 წელს დაფიქსირდა. 2014 წელს ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა (სრულყოფილი პასუხი - 66%, უპასუხო - 26%), თუმცა მომდევნო წლებში კვლავ დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა და 2017 წლის მდგომარეობით სრულყოფილი პასუხების წილმა 76%, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების წილმა კი 15% შეადგინა. 2018 წელს სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 71%-მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 19%-მდე გაიზარდა.

2013 წლის შემდეგ არასრულყოფილი პასუხების და უარის შემთხვევების პროცენტულ მაჩვენებლებში მნიშნელოვანი ცვლილებები არ შეიმჩნევა. კერძოდ, არასრულყოფილი პასუხების მაჩვენებელი 6-9%-ის ფარგლებში, ხოლო უარის შემთხვევათა წილი კი 0-2%-ის ფარგლებში მერყეობს.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.



2010-2018 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა საჯარო დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვითაც.

2010-2012 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში სამინისტროების შემთხვევაში სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა. 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 88%-მდე გაიზარდა. თუმცა, მომდევნო წლებში კვლავ შემცირდა - 2014 წელს 76%-მდე, ხოლო 2015 წელს 75%-მდე. მომდევნო წლებში კვლავ დადებითი ტენდენცია გამოვლინდა და 2017 წელს სრულყოფილი პასუხების მაჩვენებელი 83%-ს შეადგენდა.

2018 წელს წინა წელთან შედარებით სრულყოფილი პასუხები 6%-ით შემცირდა და 77% შეადგინა. აღნიშნული განაპირობა უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ზრდამ, არასრულყოფილი პასუხებისა და უარის შემთხვევების წილი კი იმავე ნიშნულზე დარჩა.



2011-2018 წლებში სამინისტროების მსგავსად, მათ დაქვემდებარებულ უწყებებში (სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები) სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (5%) 2013 წელს იყო. 2018 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა ამ კატეგორიის საჯარო დაწესებულებებში. კერძოდ, 2018 წელს წინა წელთან შედარებით სრულყოფილი პასუხები 17%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები - 15%-ით გაიზარდა. ასევე, მცირედით გაიზარდა არასრულყოფილი პასუხებისა და უარის შემთხვევების მაჩვენებლები.



2011-2018 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სრულყოფილად მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი (75%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა - (13%). 2018 წელს, განვლილი 8 წლის მონაცემებთან შედარებით, ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიღწევაში, , მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინსტიტუტის მიერ დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების აქტიურმა გამოყენებამ. კერძოდ, 2018 წელს ყველა იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხით გაეგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი, რამაც უმეტესწილად დადებითი შედეგი გამოიღო. მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ ადმინისტარციული საჩივრის მიღების შემდეგ, უპასუხოდ დატოვებულ 40-ვე მოთხოვნას გასცეს პასუხი.



2010-2018 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია განცხადების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 10 დღიანი ვადა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის დიდი მოცულობის, საჭიროებს შეგროვებას და დამუშავებას ან აუცილებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან კონსულტაცია. 10 დღიანი ვადის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2018 წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო მოცულობითი ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის ვადის დაცვად მივიჩნევდით ინფორმაციის გაცემას ათი სამუშაო დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა გვატყობინებდა თუ არა საჯარო დაწესებულება 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

2010-2018 წლებში განხორციელებული მონიტორინგის თანახმად 10 დღიანი ვადის დაცვით მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა - 75%, ყველაზე დაბალი კი 2010 წელს - 22%. . **წინა წელთან შედარებით საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 3%-ით გაუარესდა 2018 წელს, რაც უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ზრდამ განაპირობა.**



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2018 წელს

2018 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეაფასა **282 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც IDFI-მ გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **17** ცენტრალური საჯარო დაწესებულება (საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები);
- **7** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია;
- **72** სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ -ი და საქვეუწყებო დაწესებულება;

- **30** დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- **138** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, გამგეობა, საკრებულო);
- **9** გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- **7** სასამართლო სისტემაში შემავალი ადმინისტარციული ორგანო;
- **2** სპორტული ფედერაცია.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2018 წელს IDFI-იმ 282 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა 6 413 მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა სტანდარტული კითხვების შედგენისას, IDFI-მ იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით განსაზღვრული და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ნუსხით, რომლის შესაბამისადაც მთელ რიგ დაწესებულებებს საკუთარ ვებ-გვერდებზე განთავსებული აქვთ კონკრეტული კატეგორიის საჯარო ინფორმაცია.[1]

IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ძირითადად, ეხებოდა საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვა, საკადრო უზრუნველყოფა, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა და სხვა. კერძოდ, 2018 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- **სახელმწიფო ავტოპარკი და მათზე გამოწერილი ჯარიმები;**
- **საწვავის მოხმარების ხარჯები და ყოველთვიური ლიმიტები;**
- **სარეკლამო ხარჯები;**
- **პრემიები;**
- **სახელფასო დანამატები;**
- **სამივლინებო ხარჯები;**
- **როუმინგის ხარჯები;**
- **წარმომადგენლობითი ხარჯები;**

[1] საჯარო დაწესებულებებს ეკისრებათ ვალდებულება დადგენილი წესით საკუთარ ელექტრონულ რესურსზე გამოაქვეყნონ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ აქტი არეგულირებს ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, გამოქვეყნების ვადები და სხვა.

- **სატელეფონო საუბრებზე გაწეული ხარჯები და ყოველთვიური ლიმიტები;**
- **მოქმედი საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები;**
- **შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;**
- **შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა;**
- **განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;**
- **შრომითი კატეგორიის დავებით დაკისრებული თანხები;**
- **რეგრესის წესით მოთხოვნილი და ანაზღაურებული ზიანის ოდენობა;**
- **თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ მოხსენებითი ბარათები;**
- **2016-2017 წლებში შექმნილი მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი.**

ადგილობრივ თვითმმართველობებში დამატებით გაიგზავნა შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:

- **მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი;**
- **მუნიციპალიტეტის მიერ გაუქმებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი;**
- **ა(ა)იპ-ების და შპს-ების ფინანსური ანგარიშები;**
- **მერის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;**
- **საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშები.**

2011 წლიდან, IDFI საჯარო დაწესებულებებში ყოველწლიურად აგზავნის ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან დაკავშირებით სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს. შედეგად მონიტორინგის ობიექტ სახელმწიფო უწყებებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა IDFI-ის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკა. შესაბამისად, მათი მხრიდან არსებობს მზაობა მეტად სრულყოფილი პასუხები გასცენ მსგავს მოთხოვნებს ე.წ. არასტანდარტულ მოთხოვნებთან შედარებით.

არასტანდარტული მოთხოვნების ჯგუფს მიეკუთვნება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გაგზავნილი განცხადებები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ დაწესებულებების საქმიანობის სფეროს შეეხება, ასევე ის მოთხოვნები, რომლებსაც IDFI დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე აგზავნის შესაბამის საჯარო

დაწესებულებებში. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებლები, სპორტული ფედერაციებისათვის გამოყოფილი დაფინანსება, დევნილ ოჯახებზე გამოყოფილი შემწეობები, ვალების „განულებასთან“ დაკავშირებით ოფიციალური მიმოწერის შესახებ ინფორმაცია, საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ბათილი ბიულეტინების სტატისტიკა და სხვა.

2018 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

282 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6 413 მოთხოვნიდან IDFI-იმ სრულყოფილი პასუხი მიიღო 3 653 განცხადებაზე, არასრულყოფილი - 493 მოთხოვნაზე, უარი -33 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 959 მოთხოვნა, ხოლო 1 275 შემთხვევაში დაწესებულებებმა შეგვატყობინეს, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებსა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტულ მაჩვენებლებში არ არის ასახული საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც ისინი არ ფლობენ მოთხოვნილ ინფორმაციას ან არ განუხორციელებიათ კონკრეტული ქმედება. შესაბამისად, 282 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 5 138 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.



დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს სამინისტროებს დაქვემდებარებულმა სსიპ-ებმა და საქვეუწყებო დაწესებულებებმა; აღნიშნულ უწყებებს, 2018 წელს, სულ გაეგზავნათ 1 610 მოთხოვნა, საიდანაც 479 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

2018 წელს სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის ა/რ-ი, აფხაზეთის ა/რ-ის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ჯგუფში გაერთიანებული უწყებების შემთხვევაში დაფიქსირდა. კერძოდ, მათთან გაგზავნილი 135 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 117 შემთხვევაში.



ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2018

წინა წლების მსგავსად, 2018 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (20%) უპასუხოდ დატოვა **თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ მოხსენებითი ბარათების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნა.**

რიგით მეორე, ყველაზე დახურული ინფორმაცია ასევე დაკავშირებული იყო საჯარო დაწესებულებებში პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემასთან. კერძოდ, საჯარო დაწესებულებებისათვის, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, პრობლემური აღმოჩნდა 2018 წელს მათი გათვლებით პრემიებისა და სახელფასო დანამატებისათვის განსაზღვრული გეგმური თანხების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

2018 წელს საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, საწვავის მოხმარებაზე დაწესებული ლიმიტების და მის ფარგლებში გაწეული ხარჯების, საჯარო დაწესებულების წინააღმდეგ დასრულებული სასამართლო დავების და სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნები.



2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, ცალკეულმა უწყებებმა უპასუხოდ დატოვეს ან სამართლებრივად დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული.

მაგალითად:

- **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ** უპასუხოდ დატოვა IDFI-ის მოთხოვნა მოქალაქეთა სახელის ან/და გვარის შეცვლის სტატისტიკის შესახებ;
- **მონაცემთა გაცვლის სააგენტომ** უპასუხოდ დატოვა მის მიერ შემუშავებული და სახელმწიფო უწყებების სარგებლობაში არსებული ალგორითმების შესახებ;
- **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ** უპასუხოდ დატოვა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხების და მუნიციპალიტეტების მიერ თანხის მიღების თხოვნით წარდგენილი საპროექტო წინადადებების შესახებ;
- **საქართველოს პროკურატურამ** უპასუხოდ დატოვა პროკურატურაში დაწყებული რეორგანიზაციის ეტაპების შესახებ;
- **საქართველოს ეროვნულმა არქივმა** უპასუხოდ დატოვა სამკითხველო დარბაზებში მკვლევართა დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევების შესახებ;
- **საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ**, პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, უარი განაცხადა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სპორტული ფედერაციებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე;
- **თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ** 2017 წელს შპს სიტი პარკის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოთხოვნაზე, განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია არ წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას;
- **თბილისის საქალაქო სასამართლომ**, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით უარი განაცხადა კონკრეტულ საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების და ჩატარებული სასამართლო სხდომების თარიღების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე;
- **თბილისის საქალაქო სასამართლომ**, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებული ფორმით არ არსებობის მოტივით, უარი განაცხადა ასევე იმ საქმეების რაოდენობრივი მაჩვენებლის მოწოდებაზე, რომელთა განხილვაც არ დაწყებულა და რომლებზეც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არ ჩაბარდა მხარეებს.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2018 წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 6 413 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 4 027 შემთხვევაში. ამასთან, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, აღნიშნული ვადა დაირღვა 2 386 შემთხვევაში.



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება გულისხიობს ინფორმაციის გაცემას 3 დღის განმავლობაში, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 639. 1854 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, 452 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი, თუმცა აღნიშნულის შემდეგ განცხადება დატოვეს უპასუხოდ ან ინფორმაცია ვადების დარღვევით გასცეს. 1 534 შემთხვევაში, არ იქნა მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია გაიცა 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 1 934 შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი ვადები დაირღვა 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშე.



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2018

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2018

IDFI-ის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2018 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით 42-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი შეფასება მიიღო ასევე გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტ მოთხოვნას გასცა სრულყოფილი პასუხი. პასუხის გაცემის ვადებზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით, მისმა ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 99.8% შეადგინა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები					
	საჯარო დაწესებულება	**მოთხოვნების რაოდენობა**	**სრულყოფილი**	**10 დღიანი ვადის დაცვა**	**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**
1	საჯარო სამსახურის ბიურო	27	27	27	100%

2	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	23	23	23	100%
3	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	22	22	22	100%
4	გარემოს ეროვნული სააგენტო	22	22	22	100%
5	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	21	21	21	100%
6	სურსათის ეროვნული სააგენტო	21	21	21	100%
7	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	21	21	21	100%
8	ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი	21	21	21	100%
9	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21	21	21	100%
10	აწარმოე საქართველოში	20	20	20	100%
11	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	19	19	19	100%
12	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	19	19	19	100%
13	სახალხო დამცველის აპარატი	19	19	19	100%
14	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	19	19	19	100%
15	კონკურენციის სააგენტო	19	19	19	100%
16	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	19	19	19	100%
17	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	19	19	19	100%
18	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	19	19	19	100%
19	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	18	18	18	100%
20	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	18	18	18	100%
21	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	18	18	18	100%
22	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	18	18	18	100%
23	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	18	18	18	100%
24	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	17	17	17	100%
25	აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	17	17	17	100%
26	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	16	16	16	100%
27	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	16	16	16	100%

28	სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	16	16	16	100%
29	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	15	15	15	100%
30	იურიდიული დახმარების სამსახური	15	15	15	100%
31	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	15	15	100%
32	ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი	13	13	13	100%
33	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
34	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
35	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	12	12	12	100%
36	საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო	12	12	12	100%
37	ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	12	12	12	100%
38	დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
39	თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
40	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
41	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
42	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
43	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	39	39	33	99,8%

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას. 2018 წელს, ერთი კონკრეტული უწყების ნაცვლად, IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად შეფასდა მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა.

2018 წელს იუსტიციის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ უწყებებს სულ გაეგზავნათ 345 მოთხოვნა, საიდანაც 316 მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. იუსტიციის სამინისტრომ 26 მოთხოვნიდან 25 უპასუხოდ დატოვა და მისმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა მხოლოდ 3.85% შეადგინა. სამინისტროს დაქვემდებარებულმა 7-მა სსიპ-მა IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა და შესაბამისად, მათმა შეფასებამ 0%-შეადგინა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 48.3% სსიპ სმართ ლოჯიქმა მიიღო. ამ უწყებამ 26 მოთხოვნიდან უპასუხოდ

მხოლოდ 2 დატოვა, თუმცა დანარჩენ მოთხოვნებზე პასუხის გაცემას კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის ნაცვლად, 140 სამუშაო დღე მოანდომა.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუარესება თვალშისაცემია 2014 წლიდან, როდესაც წინა წლის 95.6%-იანმა მაჩვენებელთან ყოველწლიურად იწყო კლება და 2014 წელს 48.4%-ს, 2015 წელს - 3.9%-ს, ხოლო 2016 წელს კი 0%-ს გაუტოლდა. 2017 წელს გარკვეული პროგრესი შეინიშნებოდა და სამინისტროს სისტემის ერთიანი მაჩვენებელი 46.28%-ს გაუტოლდა (ამ წელს უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს მაჩვენებელი 74.9%-მდე გაიზარდა), თუმცა 2018 წელს საშუალო მაჩვენებელი კვლავ მნიშვნელოვნად დაეცა - 5.36%-მდე და იუსტიციის სამინისტროს სისტემა ბოლო სამი წლის განმავლობაში IDFI-ის მიერ უკვე მეორედ დასახელდა ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად.

ბოლო 5 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებში სულ გაიგზავნა 1,600 მოთხოვნა, საიდანაც 1,210 მოთხოვნა (75.6%) უპასუხოდ იქნა დატოვებული. ამ მონაცემების გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებები განსაკუთრებულ უარყოფით როლს თამაშობენ საქართველოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელში.

ბოლო წლებში, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხზე გავლენა ვერ მოახდინა ვერც IDFI-ის მიერ მათ წინააღმდეგ წარმოებულმა სასამართლო დავებმა, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში პრეცედენტული მნიშვნელობის იყო. მაგალითად, 2017 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჯარო ინფორმაციად იქნა ცნობილი და იუსტიციის სამინისტროს დაევალა გაეცა სამსახურებრივი ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნილი ან მიღებული წერილების ასლები, რომლებიც დაკავშირებული იყო საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. ასევე, IDFI-ის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით დაწყებული წარმოების ფარგლებში, იუსტიციის მინისტრი და სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი 2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში შემავალმა უწყებებმა 2018 წელს კვლავ არ შეასრულეს კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულება გაეცათ საჯარო ინფორმაცია.

2018 წელს, სსიპ ეროვნულ არქივის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება, გასაჩივრდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრის საპასუხოდ სამინისტრომ განმარტა, რომ **ის არ წარმოადგენდა საკუთარ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს** და არ იყო უფლებამოსილი განეხილა ეროვნული არქივის წინააღმდეგ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი. შესაბამისად, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით IDFI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. 2019 წლის 5 აპრილს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი და დაავალა სსიპ ეროვნულ არქივს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა.

ყველაზე დახურული დაწესებულებები 2018

იუსტიციის სამინისტროს სისტემა

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	იუსტიციის სამინისტრო	26	25	3,85%
2	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	47	47	0%
3	საქართველოს ეროვნული არქივი	29	29	0%
4	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	27	27	0%
5	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	26	26	0%
6	ნოტარიუსთა პალატა	26	26	0%
7	საკანონმდებლო მაცნე	26	26	0%
8	იუსტიციის სახლი	26	26	0%
9	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	28	27	1,75%
10	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	30	29	3,3%
11	აღსრულების ეროვნული ბიურო	28	26	7,14%
12	სმართ ლოჯიქი*	26	2	48,3%



2018 წელს იუსტიცის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების გარდა, კიდევ 8 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც სრულად უგულებელყო კანონით დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ IDFI-ის ყველა განცხადება. მათ შორის არის ფინანსთა სამინისტროს ორი დაქვემდებარებული უწყება - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო და სახელმწიფო ხაზინა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ IDFI-ის განცხადებები უპასუხოდ დატოვეს **შემდეგმა საჯარო დაწესებულებებმა:**

2018 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები				
		მოთხოვნა	უპასუხო/ უარი	შედეგი
1	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	26	26	0%
2	სახელმწიფო ხაზინა	26	26	0%
3	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	26	26	0%
4	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია	23	23	0%
5	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	23	23	0%
6	რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის ადმინისტრაცია	20	20	0%

7	კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	17	0%
8	ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	17	0%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის (პარლამენტის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია და მოქმედი სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 99,8%, მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. ამ უწყებამ, წლის განმავლობაში გაგზავნილ ყველა მოთხოვნას სრულყოფილი პასუხი გასცა. ამასთან, ცალკეული შემთხვევების გარდა ინფორმაცია მოგვეწოდა 10 დღიანი ვადის დაცვით.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **იუსტიციის სამინისტროს (3.85%,) და ფინანსთა სამინისტროს (28 %) შემთხვევებში.**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	39	39	0	0	0	33	99.8%
2	საგარეო საქმეთა სამინისტრო	30	29	1	0	0	3	97.43%
3	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	17	16	1	0	0	17	97.06%
4	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	27	24	2	1	0	27	92.59%
5	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	33	28	3	1	1	31	89.37%

6	განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო	22	19	1	1	1	21	88.64%
7	პარლამენტის აპარატი	26	21	1	0	4	22	82.69%
8	შინაგან საქმეთა სამინისტრო	42	26	9	0	7	19	72.24%
9	პრეზიდენტის ადმინისტრაცია*	47	40	3	0	4	0	70.40%
10	თავდაცვის სამინისტრო*	27	18	2	0	7	0	69.63%
11	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*	34	26	4	0	4	3	55.24%
12	მთავრობის ადმინისტრაცია	29	12	6	0	11	1	51.10%
13	ფინანსთა სამინისტრო	39	10	2	1	26	4	28%
14	იუსტიციის სამინისტრო	26	1	0	0	25	0	3.85%

* გარკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელთა ტენდენციების წარმოჩენას მნიშვნელოვნად ართულებს 2017-2018 წლებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები, რის შედეგადაც სამინისტროების რიცხვი 18-დან 11-მდე შემცირდა. ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკებში, იმ სამინისტროების მაჩვენებლები, რომლებსაც შეეხოთ სტრუქტურული ცვლილებები, წინა წლებში შედარებულია იმ სამინისტროსთან, რომელსაც მიუერთდა და რომლის ხელმძღვანელმაც განაგრძო გაერთიანებული უწყების მართვა. როგორც მონაცემები აჩვენებს, განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები არაერთგვაროვნად აისახა სხვადასხვა სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებზე. მაგალითად, გაერთიანებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის მაჩვენებელი, საშუალოდ 14%-ით აღემატება სოფლის მეურნეობის სამინიტროს წინა წლების მაჩვენებლებს, შესაბამისად ამ უწყებაზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით დადებითად აისახა იმ სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შემოერთება, რომლებიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდნენ 100%-იანი მაჩვენებლით.

2018 წელს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუარესების თვალსაზრისით, გამორჩეულია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელმაც, 2017 წლის 74.9%-იანი მაჩვენებელი 71.05%-ით გააუარესა და 3.85% შეადგინა. ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომლის მაჩვენებელი გაუარესდა 28.8%-ით. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაჩვენებლის გაურესება, უმეტესწილად განაპირობა საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, გარდამავალ პერიოდში გაგზავნილ მოთხოვნებზე პასუხის გაცემის შეყოვნებამ. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2018 წლის 7 დეკემბერს ადმინისტრაციაში გაგზავნილ წერილზე, რომელიც მოიცავდა 26 სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, პასუხის გაცემას

კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღის ნაცვლად მოანდომა 100 დღე. აღნიშნულ მოთხოვნებზე პასუხის გაცემის მნიშვნელოვანი შეყოვნება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ახლად არჩეული პრეზიდენტის 2018 წლის 16 დეკემბრის ინაუგურაციის შემდეგ ადმინისტრაციაში წარმართულ პროცესებთან (საკადრო ცვლილებები, პრეზიდენტის სასახლის შენობის ცვლილება და სხვ.). ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინსტიტუციურ არამდგრადობაზე მიუთითებს.

2018 წელს, წინა წელთან შედარებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუმჯობესა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (+36.44%) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (+ 21.9%). მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, 2018 წელს ამ უწყებებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კვლავ დაბალი ხარისხით ხასიათდება და მხოლოდ 50-55%-ის ფარგლებში მერყეობს.




ცენტრალური საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გააუარესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
120,00%
100,00%
80,00%
60,00%
40,00%
20,00%
0,00%
96,50%
95,90%
99,20%
70,40%
30,50%
0%
74,90%
3,85%
2015
2016
2017
2018
პრეზიდენტის ადმინისტრაცია
იუსტიციის სამინისტრო


ცენტრალური საჯარო დაწესებულებები, რომლებმაც ყველაზე მეტად გაუმჯობესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
100,00%
90,00%
80,00%
70,00%
60,00%
50,00%
40,00%
30,00%
20,00%
10,00%
0,00%
91,10%
54,50%
55,24%
51,10%
29,20%
18,80%
14,70%
10,80%
2015
2016
2017
2018
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
მთავრობის ადმინისტრაცია

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები								
	საჯარო დაწესებულება	2018	ცვლილება	2017	ცვლილება	2016	ცვლილება	2015
1	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	99,8%	**+14,6%**	85,2%	**-2,3%**	87,5%	**+4,2%**	83,3%
2	საგარეო საქმეთა სამინისტრო	97,43%	**-1,57 %**	99%	**+5,4%**	93,6%	**-2%**	95,6%
3	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	97.06%	**-0,64 %**	97,7%	**+5,5%**	92,2%	**-1,8%**	94%
4	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	92.59%	**9,29 %**	83,3%	**-16,7%**	100%	**0%**	100%
5	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	89,37%	**-7,73 %**	97,1%	**+2,7%**	94,4%	**-0,1%**	94,5%
6	განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო	88.64%	**-6,56 %**	95,2%	**+3,3%**	91,9%	**-4,5%**	96,4%
7	საქართველოს პარლამენტის აპარატი	82.69%	**-11,31%**	94%	**-6%**	100%	**+12%**	88%
8	შინაგან საქმეთა სამინისტრო	72.24%	**- 6,96 %**	79,2%	**+46,2%**	33%	**-3,8%**	36,8%
9	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	70.40%	**-28,8 %**	99,2%	**+3,3%**	95,9%	**-0,6%**	96,5%
10	თავდაცვის სამინისტრო	69.63%	**-20,67%**	90,3%	**+11,4%**	78,9%	**+2,2%**	76,7%
11	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	55.24%	**+36,44%**	18,8%	**35,7%**	54,5%	**+43,7%**	10,8%
12	მთავრობის ადმინისტრაცია	51.10%	**+21.9%**	29,2%	**+14,5**	14,7%	**-76,4%**	91,1%
13	ფინანსთა სამინისტრო	28.00%	**+15,9%**	12,1%	**69,8%**	81,9%	**+27,7%**	54,2%
14	იუსტიციის სამინისტრო	3.85%	**-71,05%**	74,9%	**+74,9%**	0 %	**-30,5%**	30,5%

2018 წელს გაუქმებული სამინისტროების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები								
	საჯარო დაწესებულება	2018	ცვლილება	2017	ცვლილება	2016	ცვლილება	2015
1	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	100%	**0%**	100%	**0%**	100%	**+18%**	82%
2	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	100%	**+3,3%**	96,7%	**-3,3%**	100%	**0%**	100%
3	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	92.42%	**-1.58%**	94%	**+13,2%**	80,8%	**+1,5%**	79,3%

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2018 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 24–მა უწყებამ აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 102 საჯარო დაწესებულება).

102 საჯარო დაწესებულებიდან, **10-მა უწყებამ** IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. მათ შორის 7 უწყება დაქვემდებარებულია იუსტიციის სამინისტროს, 2- ფინანსთა სამინისტროს, ხოლო 1- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საჯარო სამსახურის ბიურო	27	27	0	0	0	27	100%
2	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	23	23	0	0	0	23	100%

3	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	22	22	0	0	0	22	100%
4	გარემოს ეროვნული სააგენტო	22	22	0	0	0	22	100%
5	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	21	21	0	0	0	21	100%
6	სურსათის ეროვნული სააგენტო	21	21	0	0	0	21	100%
7	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	21	21	0	0	0	21	100%
8	საქპატენტი	21	21	0	0	0	21	100%
9	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21	21	0	0	0	21	100%
10	აწარმოე საქართველოში	20	20	0	0	0	20	100%

ყველაზე არა ანგარიშვალდებული სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	47	0	0	0	47	0	0%
2	საქართველოს ეროვნული არქივი	29	0	0	0	29	0	0%
3	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	27	0	0	0	27	0	0%
4	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	26	0	0	0	26	0	0%
5	ნოტარიუსთა პალატა	26	0	0	0	26	0	0%
6	იუსტიციის სახლი	26	0	0	0	26	0	0%
7	საკანონმდებლო მაცნე	26	0	0	0	26	0	0%
8	სახელმწიფო ხაზინა	26	0	0	0	26	0	0%
9	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	26	0	0	0	26	0	0%
10	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	26	0	0	0	26	0	0%

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამინისტროები წლების განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ და შეუფერხებლად გასცემდნენ საჯარო ინფორმაციას. 2018 წლის მონაცემებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურისა და სპორტის, ისევე როგორც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს.

აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატის მაჩვენებელი 91,67%-ია, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატის-80%, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის- 72%.

აჭარის ა/რ-ის მთავრობის და სამინისტროების რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	18	18	0	0	0	18	100%
2	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	18	18	0	0	0	18	100%
3	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	17	17	0	0	0	17	100%
4	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	18	15	3	0	0	18	91.67%
5	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	19	16	3	0	0	0	91.11%
6	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	20	15	2	0	3	20	80,00%
7	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	25	18	0	0	7	25	72,00%

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები

2018 წელს ადგილობრივი თვითმმართველობებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, 128 საჯარო დაწესებულებიდან (მერია და საკრებულო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს 3 მუნიციპალიტეტის მერიასა და 10 მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

მონიტორინგის ფარგლებში, მხოლოდ 4-მა მერიამ და საკრებულომ დატოვა უპასუხოდ IDFI-ს ყველა მოთხოვნა. ასეთი უწყებების დაბალი რიცხვი უმეტესწილად განაპირობა, ინსტიტუტის მიერ დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების აქტიურმა გამოყენებამ. კერძოდ, IDFI-ს ადმინისტარციული საჩივრის წარდგენის შემდეგ ინფორმაცია გასცა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ. შესაბამისად, ამ უწყებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები განისაზღვრა მეთოდოლოგიით გათვალისწინებული იმ კოეფიციენტების მიხედვით, რომელიც ინფორმაციის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ მიღების შემთხვევებს ითვალისწინებს.

2018 წელს ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით მცირედით გაუმჯობესდა და თბილისის მერიის შემთხვევაში 85%, ხოლო საკრებულოს შემთხვევაში კი 86,8% შეადგინა.

მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველი ხუთეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	19	19	0	0	0	19	100%
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	19	19	0	0	0	19	100%
3	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	19	19	0	0	0	19	100%
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	15	0	0	0	15	100%
5	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	0	0	0	13	100%
მერიების და საკრებულოების რეიტინგის ბოლო ხუთეული								

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	23	0	0	0	23	0	0%
2	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია	23	0	0	0	23	0	0%
3	კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	0	0	0	17	0	0%
4	ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	0	0	0	17	0	0%
5	შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო*	17	10	0	0	7	0	35,29%



2017 წლის ბოლოს, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა ადგილობრივ თვითმმართველობებში. კერძოდ, შვიდმა თვითმმართველმა ქალაქმა დაკარგა საკუთარი სტატუსი და გაერთიანდა მუნიციპალიტეტთან. ეს ცვლილებები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტზე არაერთგვაროვნად აისახა. მაგალითად, 2018 წელს გაერთიანებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 94% შეადგინა. აღნიშნული აღემატება 2017 წელს როგორც ქალაქ ოზურგეთის მერიის (86,9%), ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (80,91%) მაჩვენებელს. საპირისპირო მდგომარეობაა, იმავე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოების შემთხვევაში. კერძოდ, 2018 წელს გაერთიანებული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჩვენებელმა 82% შეადგინა, მაშინ როდესაც 2017 წელს ქალაქის საკრებულოს მაჩვენებელი იყო 97,67%, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოსი - 100%;





სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციები

2018 წელს სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან, IDFI-ს ყველა მოთხოვნას სრულყოფილად და 10 დღიანი ვადის დაცვით უპასუხა მხოლოდ სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციამ, ხოლო ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციამ.

სხვა გუბერნატორების ადმინისტრაციებმა, უმრავლეს შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკამოდ მაღალი ხარისხი აჩვენეს და მათი პროცენტული მაჩვენებლი უმეტესწილად 90%-იან ნიშნულს აღემატებოდა.

სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	ურო	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	16	16	0	0	0	16	100%
2	შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	17	1	0	0	18	97.22%
3	გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია	17	16	1	0	0	17	97.06%
4	სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	16	15	1	0	0	16	96.88%
5	კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	17	15	2	0	0	17	94.12%
6	ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	17	14	3	0	0	17	91.18%
7	მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	15	12	3	0	0	15	90.00%
8	იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	19	12	3	0	4	19	70.26%
9	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	20	0	0	0	20	0	0%

დასკვნა

2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით მცირედით გაუარესდა. მიუხედავად ამისა შენარჩუნებულია გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების მაჩვენებლის 2014 წლის შემდეგ დამკვიდრებული 80%-იანი ზღვარი, რომელიც უმეტესწილად, ცალკეული საჯარო დაწესებულებების მაღალი ანგარიშვალდებულებით არის განპირობებული. კერძოდ, ისეთი, საჯარო დაწესებულებები როგორც სახალხო დამცველის აპარატი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური წლების განმავლობაში ინარჩუნებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო მაჩვენებელს და ჯეროვნად ასრულებენ საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას. სამწუხაროდ, ცალკეული უწყებების მიერ(მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სისტემა, ფინანსთა სამინისტროს სისტემა და ა.შ.) წლების განმავლობაში დამკვიდრებული დაბალი ანგარიშვალდებულების პრაქტიკა, უარყოფითად აისახება საქართველოს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელზე.

2018 წლის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციები აჩენს კითხვებს ზოგიერთ უწყებაში ანგარიშვალდებულების მექანიზმების ინსტიტუციურ მდგრადობასთან დაკავშირებით. მაგალითად 2018 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ცვლილების შემდგომ, ადმინისტრაციულმა ორგანომ გასცა ისეთი საჯარო ინფორმაცია, რომელიც წინა ხელმძღვანელობის პირობებში დახურული იყო დაინტერესებული პირებისთვის. პიროვნული ფაქტორის გავლენა ადმინისტრაციული ორგანოს საჯაროობის ხარისხზე, ცალსახად მიუთითებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ქვეყანაში ქმედითი მექანიზმების დახვეწის აუცილებლობაზე.

2018 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობების მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების მხრიდან საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების არასათანადო გააზრებაზე მეტყველებს მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ადმინისტარციული საჩივრის წარდგენის შემდეგ გაცემის შემთხვევები.

განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს 2018 წელს იუსტიციის სამინისტროს სრული სისტემისა და ფინანსთა სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ზოგიერთი უწყების დასახელება ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებებად. იუსტიციის სამინისტროს სისტემის მთავარი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობის განვითარებაზე ზრუნვა, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ხელშეწყობა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის განმტკიცებაა. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები თავად იჩენენ უპატივცემულობას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ და უგულებელყოფენ დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს. ასევე, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, არ გასცემდნენ სახელმწიფო ფინანსების

განკარგვასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას, მაშინ როდესაც თავად უნდა წარმოადგენდნენ საჯარო სექტორში ფინანსური გამჭვირვალობის გარანტს.